საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 2740
11/05/2018

2740-09-2-201805111429

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. **პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი**

მოგახსენებთ რომ, ზემოაღნიშნული განკარგულების ცვლილების პროექტის მომზადება განაპირობა, სამართლებრივი აქტით დამტკიცებული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანების) შეფასებამ და შემდგომ მისი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში გადატანამ.

წარმოგიდგენთ, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტს განსახილველად, რომლის დამტკიცების შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერიას მიენიჭება უფლებამოსილება განკარგოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში არსებული მოძრავი ქონება და განახორციელოს მისი პრივატიზება.

2. **პროექტის ფინანსური დასაბუთება**

პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. **პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი**

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მამუკა ვადაჭკორიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

გიორგი ფაცურია

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2018 წლის მაისი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N39 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების მე-3 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი 3^1:

,,**მუხლი 3^1.** დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმა დანართი N4-ის შესაბამისად.“

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5002361318
23.04.2018 წ.

5002361318

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ
ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N871 მომართვის (ბიუროს 2018 წლის 9 თებერვლის რეგისტრაციის N1001181018) საფუძველზე, გიგზავნით სასაქონლო ექსპერტიზის N002648018 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 12 ფურცლად;

პატივისცემით,

ჯობა ახვლედიანი
დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის
დეპარტამენტის უფროსი

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , ჯ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

002648018

ექსპერტის დასკვნა № 002648018

გაფრთხილება

დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა:

დანიშნავი :

სტრუქტურა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

ქვესტრუქტურა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

თანამდებობა: მერი

მოსამართი:

სახელი და გვარი: ალექსანდრე სარიშვილი

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები :

თეიმურაზ ქარჩხაძე / დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 10 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

პასუხებთ მოთხოვნას, მიმდინარე წლის 13 თებერვალს თქვენთან გამოგზავნილ № 973 წერილთან მიმართებაში, გთხოვთ ჩვენს მიერ ნუსხით წარმოდგენილი ავტომობილების საბაზრო ღირებულება შეფასდეს ვიზუალური დათვალიერების გზით.

შემოსვლის თარიღი: 09.02.2018წ.

გასვლის თარიღი: 23.04.2018წ

დასკვნა

ექსპერტიზაზე შესაფასებლად წარმოდგენილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სახელზე რეგისტრირებული, ექსპლუატაციაში ნამყოფი რვა ერთეული ავტომანქანის საერთო ჯამური ღირებულება დღევანდელი საბაზრო ფასების გათვალისწინებით საორიენტაციოდ განისაზღვრა 22400 (ოცდაორი ათას ოთხასი) ლარით. (ერთეულის ღირებულებები იხილეთ დასკვნის კვლევით ნაწილში).

თეიმურაზ ქარჩხაძე

გამოკვლევა

ექსპერტიზაზე შესაფასებლად წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს სახელზე რეგისტრირებული რვა ერთეული ავტომანქანა, რომლებიც დათვალიერდა და დასურათდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 07.03.2018 წ.

ექსპერტიზის წინაშე დასმულია დაზუსტებული კითხვა: „გთხოვთ ჩვენს მიერ ნუსხით წარმოდგენილი ავტომობილების სამართლებრივ ღირებულება შეფასდეს ვიზუალური დათვალიერების გზით“. აღნიშნული ავტომანქანების შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მათი ვიზუალური და ტექნიკური (შპს „თეგეტა მოტორსი“-ის დეფექტური აქტებით) მდგომარეობა, ფირები, დამზადების წელი, ექსპლუატაციის ხანგრძლივობა.

1. ავტომანქანა „MITSUBISHI MONTERO“, მსუბუქი მაღალი გამავლობის, სახელმწიფო ნომერი OBO-759, საიდენტიფიკაციო № JMBKW51R21J016510, გამოშვების წელი 2001, რუხი ფერის 1/8, ძრავი ბენზინის- მოცულობით 3500 სმ³.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა: ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ექსპლუატაციაში ნამყოფი ავტომანქანა არა მუშა მდგომარეობაშია; ძარაზე შეინიშნება ექსპლუატაციისათვის დამახასიათებელი დაზიანებების კვლები; არ აქვს აკუმულატორი, შესაცვლელია საბურავები, დაზიანებულია უკანა ციმციმა. შპს „თეგეტა მოტორსი“-ს მიერ 2018 წლის 20-მარტს გაცემული დეფექტური აქტის მიხედვით მას შესაცვლელი აქვს გადაცემათა კოლოფი და სავალი ნაწილები (იხ. ფოტო).

2. ავტომანქანა „VAZ 21214“, მსუბუქი მაღალი გამავლობის, სახელმწიფო ნომერი AIA-908, საიდენტიფიკაციო (შასის) № 1848815, ძრავის ნომერი 8590889, გამოშვების წელი 2007, თეთრი ფერის.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა: ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ექსპლუატაციაში ნამყოფი ავტომანქანა გარბენი ოდომეტრის მიხედვით 285117 კმ, მუშა მდგომარეობაშია; ძარას აღენიშნება ექსპლუატაციის შედეგად განვითარებული დაზიანებების და შეფითხვნის კვლები; არ აქვს წინა ბამპერი, დაზიანებულია წინა საქარე მინა, მარჯვენა გვერდითი სარკე, შესაცვლელია უკანა საბურავები. შპს „თეგეტა მოტორსი“-ს მიერ 2018 წლის 20-მარტს გაცემული დეფექტური აქტის მიხედვით მას შესაკეთებელი აქვს: ძრავი, გადაცემათა და გამაძლიერებელი კოლოფები, შესაცვლელია სავალი ნაწილები, ამძრავი სტარტერი) და დრიფელი (იხ. ფოტო).

3. ავტომანქანა „MERCEDES-BENZ 313 CDI“, სპეციალური დანიშნულების (სასწრაფო დახმარების), სახელმწიფო ნომერი MFC-557, საიდენტიფიკაციო № WDB9036621R343463, გამოშვების წელი 2001, თეთრი ფერის, ძრავის მოცულობით 2100 სმ³.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა: ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ექსპლუატაციაში ნამყოფი ავტომანქანა არა მუშა მდგომარეობაშია; ძარას აღენიშნება ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად განვითარებული დაზიანებები და კოროზიის ფოცალობითი კვლები; არ აქვს აკუმულატორი და წინა მოპირკეთება, დაზიანებულია წინა საქარე მინა და ბამპერები (იხ. ფოტო).

4. ავტომანქანა „VAZ 2107“, სედანი, სახელმწიფო ნომერი MAC-002, საიდენტიფიკაციო (ძარის) № 1258855, ძრავის ნომერი 2127737, გამოშვების წელი 1999, მწვანე ფერის.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა: ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ექსპლუატაციაში ნამყოფი ავტომანქანა გარბენი ოდომეტრის მიხედვით 66435 კმ, მუშა-დაკომპლექტებულ მდგომარეობაშია; ძარას აღენიშნება ექსპლუატაციის შედეგად განვითარებული დაზიანებების და კოროზიის კვლები; ძარა საჭიროებს საზეინკლო და სამღებრო სამუშაოების ჩატარებას (იხ. ფოტო).

5. ავტომანქანა "TOYOTA LAND CRUISER PRADO 3,0", მსუბუქი მაღალი გამავლობის, სახელმწიფო ნომრით DEK-262, გამოშვების წელი 2002, საიდენტიფიკაციო № JTEBZ99J90003158, მწვანე ფერის.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა: ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ექსპლუატაციაში ნამყოფი ავტომანქანა არა მუშა მდგომარეობაშია; ძარაზე აღენიშნება ექსპლუატაციის შედეგად განვითარებული დაზიანებების (განაკაწრების) კვლები. შპს „თეგეტა მოტორსი“-ს მიერ 2018 წლის 20-მარტს გაცემული დეფექტური აქტის მიხედვით მას შესაცვლელი აქვს: წინა ხიდი, სავალი ნაწილები, ტემპერატურის სენსორი, უკანა ხიდის ჩობალი და კარდანის ჯვარა; შესაკეთებელი აქვს: ძრავი და საწვავის ტუმბო (იხ. ფოტო).

6. ავტომანქანა BMW 528 I, სედანი, სახელმწიფო ნომრით OQO-722, გამოშვების წელი 1996, საიდენტიფიკაციო № WBADD51010BP06610, მწვანე ფერის.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა: ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ექსპლუატაციაში ნამყოფი ავტომანქანა არა მუშა მდგომარეობაშია; ძარას აღენიშნება ექსპლუატაციის შედეგად განვითარებული დაზიანებების კვლები განაკაწრების და შეჩეჩილი ადგილების სახით. დაზიანებულია წინა საქარე მინა; შპს „თეგეტა მოტორსი“-ს მიერ 2018 წლის 20-მარტს გაცემული დეფექტური აქტის მიხედვით ძრავი არ იქოქება, შესაცვლელია: სავალი ნაწილები, ძრავის ზეთი და ფილტრები, ჰაერმზომის სენსორი, ვანუსი, ანთების სანთლები ჩიბუხებით, მუხლა ლილვის სენსორი, ABS-ის ბლოკი (იხ. ფოტო).

7. ავტომანქანა "OPEL VECTRA 2.0I", ჰეტჩბეკი, სახელმწიფო ნომრით LEL-272, საიდენტიფიკაციო № W0L000087K5147214,

გამოშვების წელი 1989, ლურჯი ფერის.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა: ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ექსპლუატაციაში ნამყოფი ავტომანქანა დაშლილია, დაზიანებულია უკანა ფარები ძარა კარების მინებით, უკანა ფარები და ძრავის ბლოკი (იხ. ფოტო).

II. ავტომანქანა "OPEL OMEGA 2,0", სედანი, სახელმწიფო ნომრით MQM-005, საიდენტიფიკაციო № W0L000017L1221917, გამოშვების წელი 1990, ლურჯი ფერის.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა: ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ექსპლუატაციაში ნამყოფი ავტომანქანა არა მუშა მდგომარეობაშია; ძარას აღენიშნება ექსპლუატაციის შედეგად განვითარებული დაზიანებების კვლები განაკაწრების და ეროზიის სახით; არ აქვს საბურავები, გვერდითი სარკეები და წინა ფარები, დაზიანებულია წინა საქარე მინა, სავარძლები და უკანა ფარები (იხ. ფოტო).

ზემოთ კვლევები ავტომანქანების საბაზრო ღირებულების დასადგენად, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით, შესაფასებელი ობიექტის საბაზრო ღირებულების გაანგარიშებისას გამოიყენება სამი მეთოდი: შედარების, დანახარჯებისა და შემოსავლების, რაც ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ამიტომ ხშირ შემთხვევაში გამოიყენება შეფასების ერთი ან ორი მეთოდი. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ობიექტების შესაფასებლად, ექსპერტის მიერ გამოყენებულ იქნა შედარების მეთოდი. შედარების მეთოდის გამოყენებისას, საბაზრო ღირებულების შესახებ მოსაზრება ყალიბდება შესაფასებელი ქონების შედარებით ისეთ შგავს ქონების ობიექტებთან, რომლებიც იქნენ გაყიდული ან გამზადებულია გასაყიდად (შეთავაზებულია გასაყიდად). ამ მიდგომის ძირითად დაშვებას წარმოადგენს ის, რომ ქონების საბაზრო ღირებულება ყალიბდება შესადარებელი ქონების (ანალოგების) გაყიდვის ან შეთავაზების ფასებთან. ამრიგად, შედარების მეთოდის პრინციპია – ღირებულების განსაზღვრა ანალოგიური ობიექტების ფასების ანალიზის საფუძველზე.

საქონლის საბაზრო ღირებულება მიღებულია აღნიშნული პერიოდისათვის მომსახურების ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში მსგავსი) საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების შედეგად დადებული ფასების საფუძველზე. საქონლის ბაზრად ითვლება მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება გამყიდველის/მყიდველის შესაძლებლობებით, მნიშვნელოვანი დანახარჯის გარეშე გაყიდოს/შეიძინოს საქონელი გამყიდველისთვის/მყიდველისათვის ეფექტურ ტერიტორიაზე საქართველოში. ყურადღება გამახვილებულია ანალოგიური ქონების ყიდვა-გაყიდვის საბაზრო ინფორმაციაზე, რომელიც განხორციელდა ტიპიურ საბაზრო პირობებში და მაქსიმალურად მიახლოებულია შეფასების თარიღთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე:

ექსპერტიზაზე შესაფასებლად წარმოდგენილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელზე რეგისტრირებული, ექსპლუატაციაში ნამყოფი რვა ერთეული ავტომანქანის საბაზრო ღირებულება მათი მდგომარეობის და დღევანდელი ფასების გათვალისწინებით საორიენტაციოდ განისაზღვრა:

I. ავტომანქანა „MITSUBISHI MONTERO"-ს, მსუბუქი მაღალი გამავლობის, სახელმწიფო ნომერი OBO-759, საიდენტიფიკაციო № JA4MW51R21J016510, გამოშვების წელი 2001, საბაზრო ღირებულება მისი მდგომარეობის და დღევანდელი ფასების გათვალისწინებით საორიენტაციოდ განისაზღვრა 4800-ლარით.

2. ავტომანქანა „VAZ 21214", მსუბუქი მაღალი გამავლობის, სახელმწიფო ნომერი AIA-908, საიდენტიფიკაციო (შასის) № 1848815, ძრავის ნომერი 8590889, გამოშვების წელი 2007, საბაზრო ღირებულება მისი მდგომარეობის და დღევანდელი ფასების გათვალისწინებით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3000-ლარით.

3. ავტომანქანა „MERCEDES-BENZ 313 CDI", სპეციალური დანიშნულების (სასწრაფო დახმარების), სახელმწიფო ნომერი MFC-557, საიდენტიფიკაციო № WDB9036621R343463, გამოშვების წელი 2001, საბაზრო ღირებულება მისი მდგომარეობის და დღევანდელი ფასების გათვალისწინებით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3000-ლარით.

4. ავტომანქანა „VAZ 2107", სედანი, სახელმწიფო ნომერი MAC-002, საიდენტიფიკაციო (ძარის) № 1258855, ძრავის ნომერი 2127737, გამოშვების წელი 1999, საბაზრო ღირებულება მისი მდგომარეობის და დღევანდელი ფასების გათვალისწინებით საორიენტაციოდ განისაზღვრა 1200-ლარით.

5. ავტომანქანა "TOYOTA LANDCRUISER PRADO 3,0", მსუბუქი მაღალი გამავლობის, სახელმწიფო ნომრით DEK-262, გამოშვების წელი 2002, საიდენტიფიკაციო № JTEBZ99J90003158, საბაზრო ღირებულება მისი მდგომარეობის და დღევანდელი ფასების გათვალისწინებით საორიენტაციოდ განისაზღვრა 8500-ლარით.

6. აღიარებულია BMW 528 I, სედანი, სახელმწიფო ნომრით OQO-722, გამოშვების წელი 1996, საიდენტიფიკაციო № [illegible]P06610, საბაზრო ღირებულება მისი მდგომარეობის და დღევანდელი ფასების გათვალისწინებით საორიენტაციოდ განისაზღვრა 1200-ლარით.

7. აღიარებულია "OPEL VECTRA 2.0I", ჰეტჩბეკი, სახელმწიფო ნომრით LEL-272, საიდენტიფიკაციო № W0L000087K5147214, გამოშვების წელი 1989, საბაზრო ღირებულება მისი მდგომარეობის და დღევანდელი ფასების გათვალისწინებით საორიენტაციოდ განისაზღვრა 200-ლარით.

8. აღიარებულია "OPEL OMEGA 2,0", სედანი, სახელმწიფო ნომრით MQM-005, საიდენტიფიკაციო № W0L000017L1221917, გამოშვების წელი 1990, საბაზრო ღირებულება მისი მდგომარეობის და დღევანდელი ფასების გათვალისწინებით საორიენტაციოდ განისაზღვრა 500-ლარით.

თეიმურაზ ქარჩხაძე

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: კობა ახვლედიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: კობა ახვლედიანი

ფოტოილუსტრაცია

ფოტო 1

ფოტო 2

ფოტო 3

ფოტო 4

ფოტო 5

ფოტო 6

ფოტო 7

ფოტო 8

002648018

ფოტო 9

ფოტო 10

ფოტო 11

ფოტო 12

002648018

ფოტო 13

ფოტო 14

ფოტო 15

ფოტო 16

ფოტო 17

ფოტო 18

ფოტო 19

ფოტო 20

002648018

ფოტო 21

ფოტო 22

ფოტო 23



ფოტო 24

002648018

ფოტო 25

ფოტო 26

ფოტო 27

ფოტო 28

ფოტო 30

ფოტო 32

დანართი N4

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმა							
№	ავტომობილის მარკა, მოდელი	მდებარეობა	გამოშვების წელი	ავტომობილის ფერი	ავტომობილის ტიპი	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)
1	ვაზ 21214	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	2007	თეთრი	მსუბუქი მაღალი	AIA908	3000
2	ვაზ 2107	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	1999	მწვანე 8/8	სედანი	MAC002	1200
3	ოპელ ომეგა 2.0	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	1990	ლურჯი 8/8	სედანი	MQM005	500
4	ბმვ 528I	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	1996	მწვანე 8/8	სედანი	OQO722	1200
5	ტოიოტა ლენდკრუიზერი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	2002	მწვანე 8/8	მსუბუქი მაღალი გამავლობის	DEK262	8500
6	მიცუბიში მონტერო	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	2001	რუხი 1/8	მსუბუქი მაღალი გამავლობის	OBO759	4800
7	მერსედეს-ბენც 313 CDI	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	2001	თეთრი	სპეციალური	MFC557	3000